

წლიური ფასი სამი მანეთი.

შინაური საქმეები.

წლიური ფასი სამი მანეთი.

სოციალ-კომუნალური ბაზეთი.

არ რესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

ყოველ-კვირულ გზეთ

შინაური საქმეები ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალოს რაიონში) — კაზაკოვის შესახებ ში № 17). დათბილისში გამომცემელთან სომხის ბაყაჩაშვილი, სიმონიანის შუშის მადზაშვილი. გამოვე ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირკობისთვის და მარიაპოლისთვის, როცა გზეთი სულ არ გამოვა. ბბ. ხელის მოწერლებს ვთხოვეთ გზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: **3** მანეთი.
ნახ. წლით: **2** მანეთი.
გზეთი ღებულობს ყოველგვარ განცხადებებს.

შინაური: 1) შეცდომა თუ წინათგანძრახული საქციელი? — ხელისა. 2) ერთი ღებულობაში (საშობაო მოთხრობა) — არქ. ნესტორისა. 3) ვინ იყვნენ უფლის ძმები? — რედ-სა. 4) სიტყვა ახალ წელიწადს. — №. 5) კვირიდამ კვირამდე. 6) ბუნება და ადამიანი (გაგრძელება ბ. ჯაფარიძისა. 7) ძველი და ახალი — ლექსი რ. საჯავახელისა. 8) ხმა სოფლის მასწავლებლისა — ინ. ნარ. რელიგიისი. 9) სოფ. ონოლია. — მღვდ. კ. დანელიასი.

ქუთაისი, 16 იანვარი.

შეცდომა თუ წინათგანძრახული საქციელი? — აზნაურობამ უკვე დამთავრალი საქციელი. გიმნაზიის შენობა და დღეს უკვე სწავლა სწარმოებს შიგ. შენობა, რა თქმა უნდა, ახალ საუკეთესო გეგმაზე აგებული, თანამედროვე ჰიგინისა და პედაგოგიის მოთხოვნების თანახმად და თანახმად თანამედროვე უარყოფითი მიმართულებისა. შენობას არ აქვს ეკლესია და მის ნაცვლად განძრახულია სარეკრეაციო ზალაში ერთი კედელი დაუთმონ. წმ. ხატებს, რომლებიც მხოლოდ სავალდებულო პარაკლისების დროს იქნებიან გამოჩენილნი, ხოლო სხვა დროს დაფარულნი განსაკუთრებული დარაბით. რა არის ეს? ქირღვა, შეცდომა, თუ წინათგანძრახული და ცნობილ მიზნით მოსაზრებული საქციელი? ნუ თუ ქრისტიანე ბავშვებისთვის საჭირო არ არის არც წირვა, არც ლო-



ცვა, არც ზიარება!? მაშინ რაღა საქიროა სამღვთო სჯულიც, რომელსაც, როგორც ვიცით ასწავლიან ამ გიმნაზიაში? თუ ეს საგანი მხოლოდ ფორმაა და მისი სწავლება დათმობაა შეუბრალებელ ძალდატანებისა? რაღა საქიროა ან მღვდელი? ახალმოდა უარმყოფელ ნასწავლებლისაგან ჩვენ არ გაგვივირდებოდა ეს ამბავი, რომ საქმეს სათავეში არ უდგეს თავად-აზნაურობა, რომელსაც, როგორც ვფიქრობთ ჯერ არ დაუკარგავს სარწმუნოება. და თუ ეს საქციელი თავად-აზნაურობამ განზრახ ჩაიდინა, რაღა დაგვრჩენია მის მეტი, რომ ვიგლოვით და ვიტყვით მისი უკანასკნელი საბედისწილ დაცემა, ხოლო თუ ეს უბრალო გაუგებრობაა, უეჭველია, თავად აზნაურობა მყისვე შეუდგება ამ მსხვილ ნაკლის შევსებას. არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ ადგილობრივ სჯულის მასწავლებელს, რომელმაც თავის დროზე არ უჩვენა თავად-აზნაურობას ეს ნაკლი და არ შეატყობია მაინც ადგილობრივ მღვდელ-მთავარს, რომ ამ უკანასკნელს საქირო ზომები მიეღო და თავიდანვე აეცდინა ეს არა უმნიშვნელო საცთურება.

ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიასთან არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მისი თანამმა თბილისის სააზნაურო გიმნაზია, რომელსაც თუმცა კი აქვს საკუთარი ეკლესია, მაგრამ ეს ეკლესია მხოლოდ ფორმაა, მხოლოდ ავეჯია, რადგან არავითარი მღვდელ-მოქმედება შიგ არ სრულდება და არც საკუთარი მღვდელი ჰყავს. მერე ნეტა გასაჭირი მაინც იყოს საკუთარი მღვდლის ყოლა! საკმარისია არსებულ სამღვთო-სჯულის მასწავლებლის ჯამაგირს მი.მატოს 300—400 მანეთი და საკუთარი მოძღვარი გაუჩნდება გიმნაზიას. გვიკვირს რა თსასულიერო მართებლობა მაინც არ აქცევს ყურადღებას ამ საქმეს. ნუ თუ ჩვენი ახალთაობის აღზრდა უარყოფით მიმართულებაში მისთვისაც სასურველია?

ხელი.



ერთი ღამე აკალდამაში. (საშობაო მოთხრობა).

I.

ოცდა ოთხი დეკემბერი იყო. გარეთ სისხინლად წივდა, თოვდა და ქარი, რომელიც ზღვიდან უბერავდა, ქაერში ატრიალებდა თიფქ თოვლს. დაგვიანებული მგზავრები ქუჩებში ესკოდნენ და შინისკენ მიეჩქარებოდნენ. დიდ სიმატადინო ოთახში თბილად და კარგი სმყოფი იყო. მძიმე დიდრონი ფარდები ფარავდნენ კარებს და ფანჯრებს; რბილი ბუსუსიანი ნოსა იატაკზე იყო მოფეხიანი, მარმარილოს ბუსუსში მხიარული ტყაცანით ტყვსდს დუღუნი გაქმხდა, ხოლო სტოლზე კარდის ფერ სისურავიანა ღამშაოი კთო და სსამო სინათლეს ჰფენდა ოთახში.

სტოლთან დიკანზე იჯდა სანში შესული კაცი; რომელსაც რბილი პლეუშის პლედიტ ქქონდა დიფარული ბალიშზე დაწოლილი ფეხები. ჭკლარს სუტუტს ომა და ეკეთავე წვერ-ულვაში ამოხდნენ მის დაჯადებულ მოყვითალო ჰირის სისეს, რომელსაც კიდეე შეჩჩნოდა წიხინდელი სილამაზის ნიშნა.

მის შირდაშირ იჯდა სტუდენტ-ეკიში. ის ფურცლავდა სტოლზე მდებარე წიგნს და სანდახან გადახდავდა მოხუცს, რომელიც ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

— რაზედ დაფიქრებულხარ ასე ღრმად, ბიმა ჩემო, გრიკოლ? — ჰკითხა მან.

— აი ტულის წუხილით ვფიქრობდი მსახედ, რომ აკლარმა და ჩემმა ავთმყოფობამ დღეს სელი შემიძღეს წავსულაიკ ეკლესიაში, რასაც მე მიჩვეული ვარ.

— კიცი, კიცი! შენ არც ერთ ასეთ დკთის მსახურებას არ გამოუშეებ, რომ არ დაესწრო და შობის წინ დღეს ჩვეულებრივად ატარებ მარტო, რაც მე უნდა გამოკრედე, უკუკლთვის მიკვირვება და, რადგანც სსხელდობრ ეს სსდამო უნდა იქმნეს გატარებულ მხიარულებაში და სიხარულში.

— მართაღს ამობი ეს დღესასწაული სსოკასო, სსლგაზდობის დღესასწაულია, მე ძლიერ კარგად მესმის, ჩემო სსბრალე კოლა, რომ შენ მოგაწეინა უდომა მოხუცთან, დაჯადებულ უცოლ-

შვილი კაცთან, რომელიც თავის თქმებშია ჩაფლული, სდუმს და, კარდა ამისა აკლებს თავისუფალ მსჯელობის მოყვარე ძმისწულს, რომ ის ესწრებოდას უკვე ღვთისმსახურებას და თავის სტუმარს სასწაულთ-მოქმედ ხატს, რომლის კეთილ-მოქმედებითი შემძლებლობა შენ არ გრწამს!

სტუდენტი გწოლდა.

— შენ დასწრისა ჩემ რწმენა-მიმართულებას, ძაგ, მაგრამ იმას აქვს ისეთივე უფლება არსებობისა, როგორც შენსა. რა უფოთ? მეცნიერება, რომელსაც მე ვსწავლობ, მტრისა უკველ გვარ გონების წინააღმდეგ მსჯელობისა. ეს მეცნიერება სწინაბის მხლოდ ფაქტებს და სწამს მხლოდ ის, რის აწონ-დაწონება, გაშინჯვა და გამოკვლევა მას შეუძლია. თავისს გამოკვლევას შორის სწავლული, შეხედება ხოლმე მხლოდ ერთ მატერიალს, მართლაც, თავისი არსებით სხვა და სხვა გვარს; და წინეთ იმისა, სანამ ვერწმენებოდე, რაღაც ჩვენთვის უნებოდე „იმ მხრის“ გაკვლევა-ზედმოქმედებას, მე უნდა მქონდეს ხელით შესასებელი საგრძობელი დამამტკიცებელი საბუთი, — მან ხაზგასმით წარმოსთქვა ეს წინადადება, — რომ სიკვდილის შემდგომ მართლაც არსებობს სული, ცხოველი და პირიუღი, თვით ის სული, რომელსაც კვლავია სწინაბის თავის მოქმედების შასუხის მტკიცებად. რადგანაც ეს დამამტკიცებელი საბუთი ვადევ არ გააქვს მტკიცებელი, ამიტომ მე ამ საკითხს ვნებ სხლოდ და ჩემ თავს უფლებას ვაძლევ კვტი ვიქონიო მს. ზედ.

— შენ სიკვდილად აჩქარდი, ჩემო კარგო, როცა სთქვი, რომ ასეთი დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობენ. ნამდვილად კი, წინააღმდეგ შენი სიტყვისა, დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ სული უკვდავია — აურაცხელია, მაგრამ მხლოდ ოფიციალურ მეცნიერებას არ უნდა დაინახოს ისინი. ხოლო რადგანაც ბევრი მეცნიერული დებულებისა კვრთვე არა კრისხელ უარყოფილ არიან, ამიტომ მეც, ჩემი მხრით ნებას ვაძლევ ჩემ თავს კვტი თვლით შევხედო შენი მეცნიერების უცოდველობას, — დაცინვის კილოთი უბისუხა ავადმყოფი.

— შენ, ძიანც, ყოველთვის კვრე არ ფიქრობდი, — ცქიტია უბისუხა სტუდენტმა — ძიანც

უთქვამს ურწმუნო ჩემთვის, რომ შენ ახლგაზღობაში არაფერი არ გრწამდა. სანამ სახლკარ გარეთ წასვიდოდი, შენ იყავი ურწმუნო (ატესტი), ცხოვრებაში მართო გამოყოფილების მიმდევარი, ურცხვი, მოუთმენელი და დაუძინებელი მტერი ყოველგვარ სარწმუნოებისა, ხოლო ორი წელიწადია, რაც შენ ფერი იცვალე, სრულიად გამოიცვალე და სახლკარ გარეთდგან მობრუნდი ღრმად მორწმუნე, ღვთის მოყვარე, ღვთის მოშიშა მოღვაწე. ერთი სიტყვით, შენ უარყოფე ეველაფერს, რასაც წინეთ თავისს სტუმარი, და თავისს სტუმარს, რასაც წინეთ უარყოფდი. რამ მოახდინა შენში ასეთი სასწაული, ეს კი ეველსთვის უნებო დაწნა.

— მაგრამ სასწაულები ხომ არ არსებობენ! მე უბრალოდ მივედა იმ დასკვნაში, რომ ჩემი ატესტიური იდეები (უღვთოების მიმდევრობა) აღმოჩნდნენ სამწუხარო შეცდომებად, რომელნიც მე უარვევაი.

— არა, არა! შენ რაც გინდა სთქვი, მაგრამ იდეების ასეთი შეცვლა სრულიად კვრე უბრალოდ არ შეიძლება. ვიცი რა შენი ხსოათის სიმტკიცე, ენერჯია, — მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მოუღვდნელი შემთხვევა, რომელმაც შენში ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა შენი წინანდელი რწმენა (ე. ი. ურწმუნობა), უნდა ყოფილიყო მტრის მტრად ძლიერი, გავლენიანი. ბიძა ჩემო, კრიგოლ! მაიმბე, გამიმხილე მე შენი მოქმედების საიდუმლოება, და გფიცავ შენ, რომ მე შევიძლებ ჩემად ყოფას!.. თუ შენ მთვლი მე უღირსად შენი ნდობისა?

ავადმყოფმა გამომცდელი თვლით შეხედა თავისს მოსაუბრის განცხოველებულ პირის სახეს და თხრობით აღსავსე თვლებს და ერთა წიშის სიბრძნის შემდგომ სთქვა: — კარგი, იყო თანახმად შენი თხრობისა! მე მოგითხრობ შენ ანაჩუქლებრივ შემთხვევას, რომელმაც განახლა ჩემი სული და რომლის შესახებ ვერ არავისთვის არა მითქვამს რა. შევიძლება მან, რასაც ახლა შენ გაიგებ, განგკურნოს შენ ურწმუნობისაგან და თვითხრობისაგან; ამასთან ერთად შენ ჩემი ნათელი ხარ, მემკვიდრე და თავის ღრმად ახდერძის აღმსრულებელი.

— დარწმუნებული ბრძანებოდე, ბიძა ჩემო,

რომ შენი ნება ჩემთვის სიწმიდაა.
— კიცი. ესელა უური დაძიგდა.

II.

მართლაც მე ვიყავი ურწმუნო!. იმ თავისუფალ აზროვნების დროს მატრიალიზმი იყო აყვანილი თავის დიდების უმადლეს წერტილამდე; ხალხი ახალგაზდა, ჯანმრთელი და მდიდარი კაცისათვის, როგორც ვიყავი მე, რომელი სახარება აქნებოდა უკეთესი, თუ არ ის, რომელიც ცხოვრებაში ყოველგვარ განცხრომის თავისუფლად საარგებლობას ანიჭებდა. შეძლების წესობით მე ვიყავი დამოუკიდებელი, მე არ კმისახარებდი, და ვფიქრობდი მეცნიერებას მივცემოდი, რის გამოც მე წავიკედი გერმანიაში მეცნიერების სრულად შესასწავლად, როგორც ამბობდნენ იმ დროში.

ესწავლობდი სიკვ და სხვა უნივერსიტეტებში, ასტრონომიის და ანტიკლოგიის დოქტორობის ხარისხი მივიღე, და, ბოლოს, გადავსწვივე წავსულიყავი რომში ანტიკლოგიურ (სამედიცინო) ინსტიტუტის გამოსწავლევად. ნამდვილად ვი მე მომეწივნა უმარადილი ნემეფური ცხოვრება, მომიხდა, მომეხატრა სითბო, მზე და ახალი შთაბეჭდილებანი.

მიუხედავად იმისა, რომ მე გაფანტულ ცხოვრებას ვატარებდი და განცხრომა-სიამოვნება მიწეუროდა, სეფიანების ნაწარმოებში და ასტრონომიის დიდებულმა ნაშთებმა, რომელნიც დარულ არიან ამ თავის-დაგვარად ერთად-ერთ ქალაქში, ჩემზე მოხადინეს ისეთი შთაბეჭდილება, რომელმაც მე დამომინა.

მე ვიყავი გატაცებული და მთელი დღე დაკრბოდი ნანგრევების და მუხეების დასათვალიერებლად.

იქ მე გაკვირნი ერთ ახალგაზდა სწავლულ ანტიკლოგს, რომელიც აკლდამებში თხრიდა და იკვლევდა სამკვლევებს სახელოვანი გრაფის დედასისის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად იმისა, რომ ანტონ ლამბერტი იყო მეტად დთვის მოშიში, მორწმუნე და იდეალისტი, მე ვი ურწმუნო, უღვთო და ჯიუტი, და ამის გამო ჩვენი ხასიათები და რწმენა სრულად სხვა და სხვა იყო, ჩვენ მანც დაგვიკობ-

რდით, და მე ძლიერ მოხარული ვიყავი, რომ მომეცა შეძლება ასეთი მტრადე და ნასწავლი კაცი ხელმძღვანელობით დამეთვალიერების აკლდამები.

ერთხელ როგორღაც ჩვენ ჩაკედით წმ. აგნესის სასაფლაოზე, და მე ძლიერ მომიხდა გამომეკვლია მიწის ქვეშ გაყვანილი საბურები (გაფლურები), რომელნიც მოყვანილი იყვნენ ლუსკუმებით, ხოლო ლამბერტი მიმართავდა (მისხინდა) მე წავწერებს, ნაშნებს და ჩემთვის გაუგებარ ხასიატებს, რომლებითაც სრულად დაფარული იყო ტერები და კედლები. მე უნდა დავმტო რომ ჩემი სურვილი გამეკვლევისა იყო მთლად-მეცნიერული, რადგანც მაშინ ჩემ თვალში ვირველი ქრისტიანები იყვნენ ბნელით მოცული ფანატოკისები (ამად მომწმუნენი), ხოლო წმიდანი მოწამენი მიმანდენ მაშინ საბრლო და სინოდლე ძარლები აშლილ აკლდამოყვებად.

ამიტომ მე თუმცა ვურს უკლები ჩემი თანამოგზურის გატაცებით ლამბერტს, მაგრამ გულში დავსტინდდი მას, რადგანც მისი ლამბერტი მიმანდა გულ-უბრევილო ცრუ მორწმუნობის ძიერ შეთხზულ ტორებად.

მე იქვე შენიძნე მას, რომ დაქტევა და ახრება ამ საფლაოების ძეგლებისა შთაბეჭდილებას აწებეს, მაგრამ მხატვრობა ვი ძლიერ სასურველია და თუ რომ ის და გრაფი დე-მისისი ნებას დამრთავდნენ, მე სიამოვნებით გადმოვიღებდი წოგ მათგანს ჩემთვის. მართლაც მქონდა განზრახვა გადმომეღო დედისათვის ვირი საწმუნობის ამ ძეგლი ძეგლებისა, რომლებიც ჩვენში არაფრად ეინტერესებოდათ მაშინ, ე. ი. თაოქმის 40 წლის წინეთ.

ლამბერტიმ აღმოთქვა მე, რომ ის იმავე დღეს მოკლამარებოდა გრაფს, ხოლო მერე დღეს კმაყოფილებით მაცნობა, რომ ნუბართვა მიღებულა და რომ ის წამიყვანს მე წმიდა კალისტის საფლაოზე, სადაც იმ დროს თხრიდნენ და იკვლევდნენ ძეგლ ნაშთებს და სადაც იმავეს სრულად ხელუხლებლენი გაფლურები, რომელთა შესავალი კარები თვითონ ქრისტიანებისგან იყო ამოყორილი დოკოლიტიანეს დენის დროს.

მერე დილას ჩვენ შევხვდით ერთმანეთს

დანაშნულ ადგალზე და ლამპერტი წამიყვანა მე
 ასლად ნაშონ გადღერეებში. მართლაც ისინი
 ხელუხლებლნი იყვნენ, იმ სასაო, როგორც და-
 ტრეებთან ისინი დიკლოტანეს თანამედროვეებს.
 მსატრობა გასაკვირვად ასლად შესახულიყო, და
 მეც მალე ვიპოვე ჩემ გემოზე დახატული სურათი
 და გადაწვიტე მისი გადმოლება (გადმოსატვა).
 მიკმაგრე სანათობა მეც კედლის გვერდზე, გაშალე
 შესაკეცა სკამი და შეუდექი საქმეს.

ლამპერტი წავიდა მუშების დასათვალისწინებ-
 ლად და აღმთქვა, რომ ის მოკა ჩემთან რაკვანამე
 ხნის შემდგომ და ერთად წავალთ. საუხმის საჭ-
 მელად.

არხიმანდრიტი ნესტორ.

(შემდეგი იქნება).

ვინ იყვნენ ქვანი უფლისანი?

• ჩვენი დროის დამახასიათებელი თვისება
 უარყოფაა და გადაფასება ყოველგვარ განძე-
 ულებისა. ჩვენ დროში უარს ყოფენ ყველა-
 ფერს, რაც ძველად მყარ ქვეშაობებად და
 აუცილებელ სიმართლედ მიაჩნდათ. არ არის
 ჩვენ დროში ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული
 ბავშვი, რომელიც ეჭვის თვლით არ უყუ-
 რებდეს ყველაფერს, რაც დაწერილია და რაც
 ცნობილია საღმრთო განცხადების სახელით.
 ეს კარგათ იციან ეგრეთ წოდებულმა საღვთო
 სჯულის მასწავლებლებმა. ყველას ჰგონია,
 რომ ძველი წმ. მწერლები განძრახ შეთქმულან
 ჩვენი დროის ადამიანების მოსატყუებლად,
 ამიტომ სულ მკირედი რამ ვითომ წინააღმდე-
 გობა, ან დაუსრულებელი აზრი, ან გაუგებ-
 რი ადგილი საღვთო წერილის რომელიმე
 წიგნში საკმარისია, რომ მთელი სამღვთო გან-
 ცხადება უარაყონ და მისი მატარებელნი და
 მაუწყებელნი განძრახ მატყუარებად ჩასთვა-
 ლონ.

ერთ ასეთ საბუთს შესახებ იესო ქრი-

სტეს პიროვნებისა იძლევა ამგვარ პირთათვის
 მაგალითად ის გარემოება, რომ ყველა მახა-
 რებლები იხსენიებენ იესოს ძმებს. ამიტომ მეტი
 არ იქნება, რომ ასეთი, ვითომ და საეჭვო,
 ადგილები განვმარტოთ ხოლომე მოეჭვეთა სა-
 ხელმძღვანელოთ. დავიწყოთ დასმული კით-
 ხვიდან: ვინ იყვნენ ძმები ქრისტესნი? თუმცა
 ყველა მახარებლები იხსენიებენ იესოს
 ძმებს, მაგრამ სახელდობრ აღნიშნავენ მათ
 მხოლოდ მათე და მარკოსი. პირველი გად-
 მოგვცემს რა ურიების განცვიფრებას შესახებ
 იესო ქრისტეს მოძღვრებისა, ამბობს: ვინა არს
 ამისა საბრძნე ესე და ძალი? ანუ ესე არა
 არსა ხუროსა მის ქე? ანუ არა დედასა მისსა
 ჭჭვია მარამ, და ძმანი მისნი იაკობ და იო-
 სე, და სვიმონ და იუდა? და დანი მისნი
 არა ეოგელნი ჩვენ შორას არიან (XIII, 54
 — 56). მარკოსი იმავე შემთხვევის გამო ამ-
 ბობს: ვინა არს ესე ამისა? ანუ რა არს სა-
 ბრძნე ესე მიცემული ამისა, და ძალი ესე-
 დენნი ხელთაგან ამისთა, რომელნი იქმნებან?
 ანუ არა ესე არსა ხურო და მე მარამამისა
 და ძმა იაკობისა და იოსესი, და იუდასი და
 სვიმონისა? და დანი მისნი ეოგელნი ჩვენ-
 თანა არიან? VI (2-3).

ამნაირად იესოს ძმებად იწოდებოდნენ
 იაკობი, იოსე, სვიმონ და იუდა. მაგრამ ვი-
 სი შვილები იყვნენ ესნი? ამ კითხვის გამო-
 სარკვევად დაუბრუნდეთ ისევ სახარებას. რო-
 ცა იესო ქრისტეს ჯვარ-ქვეშ მდგომ ქალებს
 ასახელებენ, მახარებლები ამბობენ: მათე; რომ-
 ელთათანა იყო მარამამ მაგდალინელა, მარამამ
 დედა იაკობისა და იოსესი და დედა ძეთა
 ზებედეთა (XVII 56).

მარკოსი: ხოლო იყენეს დედანიცა, რომ-
 ელნიც შორით ხედვიდეს რომელთათანა იყო
 მარამამ მაგდალინელა და მარამამ დედა იაკობ
 მცირისა და იოსესი, და სალომე (XV, 40.)

იოანე: ხოლო სდგეს ჯვარსა მას თანა
 იესოსსა დედა მისი და დედა დედასა მისისა,
 მარამამ ელევზასი, და მარამამ მაგდალინელა.
 (XIX, 25).

ლოუკა: ხოლო იყენენ (მიმავალნი საფ-

ლაესა ზედა იესოსა): მაგდალინელა მარიამ, და იოანა, და მარიამ დედა იაკობისა და სხვანი მათთანა. (XXIV 10).

აქედგან სჩანს, რომ ჯვარ ქვეშ იღვწენ სამი მარიამი: მარიამ—დედა უფლისა, მარიამ მაგდალინელა და მარიამ, რომელიც იოანეს მოწმობით არის მარიამ კლეოპასი და დაიღვწის იესოსი. ეგვევ მესამე მარიამი მათეს სიტყვით არის დედა იაკობისა და იოსესი, მარკოსის სიტყვით დედა იაკობ მცირისა და იოსესი, ხოლო ლუკას სიტყვით დედა იაკობისი. აქედგან სჩანს, რომ იაკობი (რომელსაც მარკოსი მცირედ სახელდება, უთუოდ იაკობ მოციქულისაგან განსასხვავებლად) და იოსე იყვნენ შვილები მარიამ კლეოპასი, დისა ლეთისმშობელისა. თუმცა აქ ცხადია არ არის ნაჩვენები თუ ვისი შვილები იყვნენ სიმონი და იუდა, მაგრამ რადგან მაცხოვრის მოძღვრების მსმენელნი ურიანი ამათაც იესოს ძმებად ხადიან, უნდა ვიფიქროთ, რომ ესენიც შვილები იყვნენ მარიამ კლეოპასი ანუ ძმები იაკობისა და იოსესი.

ყ-დ წმიდა ლეთისმშობელი დედის ერთა იყო და მაშასადამე მარიამ კლეოპასი იქნებოდა მისი ან ბიძაშვილი, ან დედაშვილი, და ან სხვა რაიმე ნათესავი, ხოლო მისი შვილები იაკობი, იოსე, სიმონ და იუდა და ასულნი მისნი, რომლებსაც სახელდობრ არ ასახელებენ მახარებლები, ხორციით ნათესავები ქრისტესნი. ამასთანავე ის სიტყვა, რომელიც ნახმარია ბერძულ სახარებაში, რომელიც გადმოთარგმნილია სიტყვით ძმა ნიშნავს არა მხოლოდ ერთი დედამამის შვილებს, არამედ ნათესავებს საზოგადოთ, ბიძაშვილებს და სხვ. ამიტომ არაფერ საბუთს არ იძლევა იესო ქრისტეს და ნახსენებ პირებთა ნათესაურ კავშირის გამოსარკვევად:

ქრისტეს უარის მყოფელნი აზრობენ, რომ იესო ქრისტეს ძმებად უნდა ვიგულისხმოთ მკვიდრი შვილები იოსებისა და მარიამისაო. მაგრამ ამ საგნობ მოსაზრების წინააღმდეგ, გარდა მოყვანილი ადგილებისა, შეგვიძლია ესთქვათ შემდეგი: 1) არსად, არც ერთ სახარე-

ბაში არ არის ისეთი ადგილი, რომელიც საბუთს იძლეოდეს ვიფიქროთ, რომ ქალწულ მარიამს ჰყავდა შვილები იესოს გარდა; წინააღმდეგ, ყველგან იგი იწოდება **დედად მისსა ანუ დედად იესოსსა**, ე. ი. დედად მხოლოდ შობილისა ძისა; 2) უკანასკნელ წამებში, როცა უკვე დაასრულა ქვეყნიური მოღვაწეობა და ემზადებოდა განსვლად მამისა თვისისა, მაცხოვარმა ჯვრიდგან, იხილა რა დედა თვისი და საყვარელი მოწაფე იოანე, **რქვა მას: დედააკაცო, აჴა ქე შენა! და მოწაფეს:—აჴა დედაშენიო!** და ამ გვარად გაუჩინა მას ქვეყნიერი მზრუნველი და მომვლელი. ასეთი საქციელი იესო ქრისტესი შეუწყნარებელი იქნებოდა, თუ ქალწულ მარიამს სხვა ოთხი შვილი კიდევ ჰყავდა; 4) ერთმა უფროსმა ძმად წოდებულთაგანმა—იაკობმა, რომელიც ქრისტეს აღდგომის შემდეგ მოიქცა და იქმნაპირველი ეპისკოპოსი იერუსალიმისა, დასწერა კათოლიკე ეპისტოლე განთესულთა ებრაელთა მამართ. ამ ეპისტოლეში იგი ძმად არ უწოდებს იესოს, არამედ თავის ეპისტოლეს იწყებს შემდეგი სიტყვებით: იაკობი მძნა ლეთისა და უფლისა იესო ქრისტესი; მაშასადამე იგი არც ძმა ყოფილა იესოსი იმ მნიშვნელობით, რომლითაც ჩვენ გვესმის სიტყვა „ძმა“. თუმცა იგი, მაინც იწოდებოდა ძმად უფლისა; და 5) წარმოუდგენელია, რომ ოთხმოცდა ოთხი წლის მოხუცს იოსებს ყოლოდა ხუთი ვაჟი და რამოდენიმე ქალი. მაგრამ ვინ იყო მამა იაკობისა, იოსესი, სიმონის და იუდასი დებიუთრთ? რადგანაც დედა მათი სახელდებულა მარიამ კლეოპასად, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მარიამი იყო კოლი კლეოპასი, რომელიც იყო მამა ეგრეთ წოდებულ უფლის ძმებისა.

რედ.



სიტყვა ახალ წელიწადს.

ეძიეთ პირვილად სასუფველი
დღის: და სიმართლე მისი და ესე
ყოველი მოგეგას თქვენ.

დღეს ახალი წელიწადია, დღევანდელ დღეს ყველანი განსაკუთრებით განატარებენ, დღევანდელი დღე განსხვავებულია წელიწადის სხვა დღეებში, დღეს განსაკუთრებულ რჩეულ საქმეებს სჯამენ, რჩეულ სასმელებს სჯამენ, სხვა და სხვა ხმელ და ნედლ ხილეულობას მიირთმევენ; დღევანდელ დღეს ულოცავენ ერთი მეორეს და უსურვებენ ურთიერთს სიმდიდრეს, ტანმრთელობას, დღეგრძელობას — ერთი სიტყვით ამ ქვეყნიურ ბედნიერ ცხოვრებას. დღეს დღისათვის განსაკუთრებით ემზადება მდიდარიც და ღარიბიც და რაც შეიძლება ყველა ცდილობს მეტი ხორციელი სიამოვნება განიცადოს ამ დღეს. დღეს ცდილობენ დაივიწყონ ყოველგვარი წლის განმვლობაში განცდილი უბედურებანი და უსიამოვნებანი, ნახული ხარალი და გაჭირვებანი. ყველა ხარობს ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ცხოვრების მოლოდინში. ყველა ოცნებობს, რომ საუკეთესოდ მოაწყობს თავის ცხოვრებას, ყველას ნათელი გეგმა აქვს დახატული თავის მომავალი ცხოვრებისათვის და დარწმუნებულიც არის, რომ იგი განახორციელებს ამ გეგმას და დასტკბება სრული ბედნიერებით, სრული ნეტარებით; განვიღო გაჭირვების დამვიწყებელი, არავის აღარ ჰგონია, თუ რაიმე დაბრკოლებას განიცდის მომავალ წელში. ასე ბრწყინვალე იმედებით არის აღვსილი დღეს ყოველი კაცი, მდიდარი თუ გლახაკი, ნასწავლი თუ უსწავლი და ყველანი მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნიურ ბედნიერებაზე ფიქრობენ და ერთ წამსაც არ უფიქრდებიან იმ გარემოებას, რომ ასეთი ბედნიერება ხანგრძლივი არ არის, რომ, როცა იქნება, ადრე თუ გვიან, შეიძლება ამ წელშიაც, შეიძლება ხელაც დღესაც, ამ საათშიაც, ბოლო მოეღოს ამ

ჩვენ სასურველ და სანატრელ ბედნიერებას, ამ ჩვენ ბრწყინვალე გეგმებს და სურვილებს — და განა ყოველ წამს არ ვხედავთ მოლოდინის გაცრუების მაგალითებს? აი ყმაწვილი, ჯანსაღი ქაბუკი! პირველ შეხედულებით ყოველი გარემოება ხელს უწყობს, რომ ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრებით დასტკბეს, თითონაც დარწმუნებულია, რომ ბედნიერების კარები ღიაა მისთვის, მაგრამ აი უღალატა გულის სატრფომ ცხოვრება სამსალათ გადაექცა, ვეღარ აიტანა ბედის სიმუხთლე, დასწყევლა წუთი-სოფელი, დაჰგმო თავის სიკოცხლეც, ამოაოო ყოველივე, სიტყვა მან და გამოესალმა წუთი-სოფელს. აგერ მდიდარი, ფუფუნებაში ცხოვრებას ატარებს, ყველას ჰგონია ბედნიერია, თვითონაც ამას გაიძახის, მაგრამ დატრიალდა უკუღმა ბედის ჩარბი, უეცრათ სიმდიდრე ხელიდან გამოეცალა, დარჩა დატაკი; კმაყოფილებას ნაჩვენებ ვეღარ აიტანა გაჭირვება და გაიგმირა გული აგერ კიდევ... მაგრამ რათ გვინდა მაგალითები, გაიხსენოთ უკვდავი იგავი ქრისტესი მდიდარ კაცზე, რომელმაც რქვა სულსა თვისსა: „სული ჩემო მრავალი გაქვს დაუნჯებული ამა ქვეყანასა, სვი, ქამე და იხარებდე“. ხოლო მასვე დამესა მას ამოხდა ის სული, რომელსაც ამდენ ბედნიერებას უმზადებდა: უფუნურო, ვის უნდა დარჩეს ესლა შენი სიმდიდრე? მაგონდება მშვენიერი სიტყვები საღვთო საგალობელისა: „ოდეს სოფელი ყოველი შევიძინო, მაშინ საფლავივე დავიმკვიდრო!“ როგორ ამო არ არის წუთი-სოფელი? — ქვეყნის მფლობელმა სამი არშინი მიწა უნდა დავიმკვიდრო! მაგრამ არც ეს იქნეს შეიძლება ჩემი სეუკუნო სამკვიდრებელი: გაივლის ხანი და მივიწყებულ ჩემ სამარეს გასჩიქნის რომელიმე შეუბრალებელი მესაფლავის ხელი და სიცილ ხარხარით ამოკერის ჩემ გამხმარ ძელებს, რომ ახალ ცხედარს მისცეს ალაგი! „ქეშმარიტად ამოაო ყოველი და ცუდად, უმიზნოდ შფოთავს ყოველი მიწით შობილი!“

თუმცა ასეთი წარმავალობა, ფუქსავატობა და ამოება ამა სოფლისა ყველას კარგათ

გვემის, მაგრამ მაინც უპირველესი საზრუნავი ჩვენი იგივე წუთისოფლის ცხოვრებაა, მაინც აქ ვეძებთ ბედნიერებას და ბედნიერსაც მას ვეძახით, ვინც კმაყოფილებაში, ე. ი. სიმდიდრეში სცხოვრობს. ამიტომაც რომ დღევანდელ, ვითომდა ბედნიერების დასაწყისს, დღეს პატესა ვსცემთ და განსაკუთრებულ განცხრომას ვეძღვეთ. ამიტომაც, რომ გვაფიწყდება დღეის დღის ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა. მე დარწმუნებული ვაა, რომ ნახევარმა არ ვიცი, რომ დღეს წმ. ეკლესია დღესასწაულობს წინადაცვეთასა მაცხოვრისასა და მოიგონებს ცხოვრებასა და მოღვაწეობასა ეკლესიის მამად და მანათობლად წოდებულისა დიდისა ვასილისასა. შობის ხე, ჩიჩილაკა, კამფეთები, არაყი, ხაჭაპურები — აი რამ ჩანაქა დღევანდელი დღესასწაულის ქეშმარიტი აზრი. „ზრუნვამ მრავალსა ზედა“ დაგვაფიწყა, რომ კაცისათვის მხოლოდ „ერთი არს სახმარ“, რომელიც არა მიეღოს მას, არამედ მასთანა ეგოს უკუნისამდე“. და ეს ერთი არს „სასუფეველი ღვთისა და სმართლე მისი“. ხოლო ყოველივე ესე, რაც ჩვენ ჩვენი ზრუნვის უმთავრეს საგნად მიგვაჩნია, ყოველივე ქვეყნიური კმაყოფილება მისაგებელია, ჯილდოა მისი, ვინც ეძიებს „პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სმართლესა მისსა“. „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სმართლესა მისსა და ესე ყოველი მოგვეგოს თქვენ“. გვიბრდება მაცხოვარი და მხსნელი ჩვენი იესო ქრისტე. აი ეს მცნება უნდა ხელმძღვანელობდეს ყველას, ვინც ეძიებს ქეშმარიტ, უტყუარ და მიუღებელ ბედნიერებას, და არა სიზმარს, და აჩრდილს, და კომლს განთიადისას, რომელიც არის წუთიერი ესე წარმავალი ცხოვრება ჩვენი მთელი თავის სიმდიდრით და განცხრომით.

არავინ იფიქროს, ძმანო, რომ ვითომ ეკლესია წინააღმდეგი იყოს სიმდიდრისა და კმაყოფილებისა. ღმერთმა სახიერებითა თვისითა გააჩინა ადამიანი, დასვა იგი მეფედ ყოველთა ქმნულთა ზედა და ყოველივე დაუმორჩილა ქვეშე ფერხთა მისთა. აქედგან სჩანს, რომ

კაცი ნეტარებისთვის არის გაჩენილი, აქედგან სჩანს რომ კაცმა უნდა ისარგებლოს ქვეყნისაგან და შექმნას თვისი კმაყოფილება, გარნა ამასთანავე ჯერ არს არ დავიწვება ღვთისა, რადგან უმთავრესი და უაღრესი ნეტარება ადამიანისა ღმერთთან ერთობაშია. სრულ ნეტარებას იგი განიცდის, ვისაც არ დაუკარგავს კავშირი ღმერთთან, ვინც გრძნობს მის სიხლოვეს, ვინც მას თავის გულში და გონებაში ატარებს, ვინც მის მცნებების აღსრულებაში ვარჯიშობს. გნებავთ, დაგიბტყიკოთ, რომ ყოველ ქვეყნიურ ნაკლულევანებასთანაც ბედნიერია კაცა, თუ მას არ გაუწყვეტია კავშირი შემოქმედთან? ამის მაგალითს წარმოგვიდგენს დიდი ვასილი, რომლის ხსენებას, როგორც ვსთქვით, დღეს აღსრულებს ეკლესია. ერთხელ მაცხოვრის ღვთაების უაღრეს მყოფელმა მეფე ვალენტინმა მიუვლინა წმ. ვასილს თავის სიმკაცრით, სიმბეცით და შეუბრალებლობით შეს ნიშნავი მხედართმთავარი მოდესტი, რომელსაც უნდა დაეთანხმებია ვასილი არიოსის მოძღვრებაზე, რომ იესო ქრისტე არ არის ღმერთი, არამედ კაცი. მოდესტმა ჯერ დპირებით და მოჟერებით სცადა დაეთანხმებია ვასილს და რომ არაფერი გაუვიდა, დაუწყო რისხვა და ექადა გაძევებას, ქონების წართმევას და ბოლოს სიკვდილსაც. მაგრამ წმ. ვასილმა დამშვიდებით უპასუხა მოდესტს: „წართმევის არ მეშინია, რადგან არა გამაჩნია რა, სამშობლოდგან გაძევებას არ ვუბრთხი, რადგან ყველგან უფლისა არს ქვეყანა, სიკვდილი კი ჩემთვის სასუფეველია, რადგან იგი შემაერთებს მე ქრისტეს, რომლისათვისაც ვცხოვრობ და ვიღვწიო“. აი ქეშმარიტი ბედნიერება, ძმანო, რომელსაც თვით სიკვდილისაც არ ეშინია, რადგან იგი სიკვდილი საშვალებაა ქრისტესთან შეერთებისა. აი წარუვალე და სამარადისო მიუღებელი ბედნიერება! რას წარმოადგენს ამასთან შედარებით ის ბედნიერება, რომელსაც ჩვენ ბედნიერებას ვეძახით და რომლის დაკარგვას ერთი წამი, ერთი მოულოდნელი შემთხვევა სპირდება? რას წარმოადგენს ის ბედნიერება, რომელიც საფლავის კარამდინაც

ვერ მიგვაცილებს, რომელიც არა თუ ჩვენ გვიდარაჯებს, არამედ ჩვენგან თხოულობს დარაჯობას, მოვლას და პატრონობას? მაგრამ რომ არ იფიქრო, რომ ეკლესია წინააღმდეგია ასეთი ბედნიერებისა, თუ იგი ბედნიერებად მიგაჩნია, დაუგდე ყური ამ წმიდა წირვის შემდეგ გადასახდელ პარაკლისს და შეიგნე, რა რიგ ლოცულობს ეკლესია ამ შენი წარმავალი ბედნიერებისათვისაც კი, დააფასე ესე ვითარი მისი მამობრივი ზრუნვა და სიყვარული შენთვის და ნუ დაივიწყებ უმთავრესსა შენი ცხოვრების მიზანსა: „ეძიებდე პირველად სასუფეველსა ღვათისასა და სიმართლესა მისსა“.

დღეს მილოცვის დღეა, დღეს ურთიერთათვის სურვილების გამოხატვის დღეა და ჩემი სიტყვაც შეუფერებელი იქნება, თუ არ მოგილოცეთ და არ გამოვსთქვი, რაც მე მსურს თქვენთვის. გილოცავთ წასული წლის მშვიდობით გატარებას და მომავალი წლის მხიარულად მიგებებას. გისურვებთ სულის მშვიდობას, სარწმუნოების განმტკიცებას, ღმერთთან და ეკლესიასთან მტკიცე და შეურყეველ ერთობას, ძმით მოყვარებას, გლახაკთა მოწყალებას, საზოგადო და საქველმოქმედო საქმეებისათვის მეტ ყურადღებას და გულშემატკივრობას, ზნეობის ამაღლებას ქრისტეს მცნებათა შესაფერად, განდგომილთა და უარის მყოფელთა მოქცევას ქრისტეს მიმართ, გისურვებთ აგრეთვე ქვეყნიურ, სიმდიდრეს კეთილისა მოსახმარად. — შემოქმედმა გვიკურთხოს ყველას ერთობით გვირგვინი სელიწადისა და მოგვცეს შეძლება მისთა მცნებათა განხორციელებისა! ამინ.

მღ. ს. მ—ძე.

კვირიღამ—კვიროგამღე.

საქართველოს ექსარხოსი მ. ყ. უსამღვდელოესა ინოკენტი 21 დეკემბერს უკვე ჩამობრძანდა თბილისში.

30 დეკემბერს, მიწას მიაბარეს აწ უკვე განსვენებულის დეკ. ღვთი ღამბაშიძის გვამი. გასვენებაზე დიდძალი ხალხი დაესწრო. თბილისიდან ჩამოსულმა ვანძრახ ამ შემთხვევისთვის სამღვდელოების დეპუტაციამ ღვთისმშობლის ხატით შეამკო განსვენებულის ცხედარი. გასვენებას დაესწრენ, და წირვა გადაიხადეს, ყ-დ სამღვდელონი იმერეთისა გიორგი და გურია—სამეგრელოსა ლეონიდე. უკანასკნელმა ვრცელ სიტყვაში დაასურათა განსვენებულის მოღვაწეობა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე თბილისის სამღვდელოების წარმომადგენელმა მ. ნ. თალაქვაძემ და ადგილობრივმა სამღვდელო და საერო წარმომადგენლებმა. დაწვრილებით ცნობები გასვენების შესახებ გამოვა მწყემსის უკანასკნელ სამგლოვიარო ნომერში. აქვე იქმნება მოყვანილი წარმოთქმული სიტყვებიც და აუარებელი თანაგრძობის წერილების და დეპეშების შინაარსი. ხატით შეამკეს ცხედარი ქუთაისის სამღვ. სახელით.

დეკ. ღამბაშიძის გარდაცვალების გამო დ. ზესტაფონის სამრევლოს ყ-დ სამღვდელო გიორგიმ ნება მისცა მღვდლის არჩევისა, ხოლო შორაპნის საბლადოჩინო ოლქის სამღვდელოებას ბლადოჩინისა. მღვდლად არჩეულ იქმნა განსვენებულის შვილი მ. ქ. ღამბაშიძე.

ყ დ სამღვდელო გიორგის კონტორიდან ბრძანება მიუღია, რომ დ. ზესტაფონის ეკლესიაში შემოღებულ იქმნას რუსულ-ქართული (არეული) წარგაღოცვა, რადგან მლოცველთა შორის რუსებიც ურევია. რუსები დღეს-დღეობით მხროდ რამდენიმე მოსამსახურე პირია დ. ზესტაფონის საღვურში და სხვადასხვა დაწესებულებაში. „არასოდეს“, სთქვა თურმე განსვენებულმა დეკ. დ. ღამბაშიძემ, როცა ეს ბრძანება წაიკითხა.

იმერეთის სამღვდელოებას უკვე ეცოდინება, რომ წასული წლის ახალ ჯამაგირის განაწილების დროს იმერეთის ეპარქიას 5500 მანეთამდე შეხვდა.

ყ-დ სამღვდლო გიორგის სინოდის კონტორიდან ებრძანა სამასწავლებლო მოწმობა მოსთხოვოს ყველას, ვისაც სურს შტატის დიაკვნის ადგილი დაიჭიროს. ასეთი შტატის დიაკვნები ჩვენში არ არიან, მაგრამ ფიქრობენ ბრძანება სამღვდლო კანდიდატებსაც შეეხება, რაც სრულიად არ სჩანს ბრძანებიდან, რომელიც წარმოადგენს სინოდის უკვე დიდხნის გამოცემულ ბრძანებას სახელდობრ შესახებ მხოლოდ შტატის დააკენებისა, რომლებიც კანონის ძალით ვალდებული არიან ასწავლონ სამრევლო სკოლაში.

სახელ. სათათბიროს ოპოზიციამ ამ ეამიდ გაიმარჯვა და სამინისტროს დაუქვემდებარა ის სკოლები, რომელნიც სახელმწიფო ხაზინის ხარჯით ინახებიან. ვნახოთ რა თვლით შეხედავს ამ კანონ-პროექტს სახელმწიფო საბჭო.

როგორც ვაზ. „კავკაზი“ გვატყობანებს, ბაქოს ემისკოპოსი გრიგორი ორლოვის ეპისკოპოსად გადაუყვანიათ.

როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, იმერეთის სამღვდლოების მორიგი კრება ოთხი თებერვლისთვისაა დანიშნული განსახილველი საგნები შემდეგ ნომერში იქნება გამოცხადებული.

როგორც გავიგეთ, ეპარქ. მეთვალყურეს ბ. თ. ჟორდანიას აზრი შეუტანია საბჭოში, რომ რუსული ენის სწავლება პირველ წელიწადსვე იქმნეს დაწყებული ახალ შემოსულ შეგირდებთან.

ქ. ქუთაისში 13 იანვრიდან გამოდის „Кут. Лист“-ის მაგივრათ ყოველ დღიური რუსული გაზეთი „Кут. Жизнь“, გ. დ. პოლშინის რედაქტორობით. გაზეთი დიდი ფორმატისაა და ღირს 5 კაპ.

ბუნება და ადამიანი.

(გაგრძელება *).

ებლა მივაქციოთ ყურადღება ამ ძირითადი საკითხის მეორე მხარეს და შემდეგ უფრო დანამდვილებით გადავსწავტოთ საკითხს.

თუმცა ბუნებას დიდი გავლენა აქვს ადამიანზე, მაგრამ ბუნება ვერ სცვლის ადამიანის არსებით თვისებებს. დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში და მხარეებში ბუნება სხვადასხვანაირია: ჰავა, მდებარეობა, ნიადაგი, ნოყიერება და სხვა. ყველგან ადამიანს ადგილობრივი ბუნების გავლენა ეტყობა გარეგნულათ. ეს სხვადასხვაობა იმდენათ საყურადღებოა, რომ უცებ როცა შევადარებთ სხვა და სხვა ტიპის ხალხს, გვეგონება, რომ ერთი ხალხი მეორის ნათესავიც არ არის და ერთი წინაპარიდან არ არიან წამომდგარი. მაგრამ თუ დაწვრილებით გამოვიკვლევთ ადამიანის ბუნებას, დავინახავთ, რომ ფიზიკურ ბუნებას არ შეუძლია ადამიანის ბუნება ანუ არსებითი თვისებები შესცვალოს. საუკუნოების განმავლობაში დაშორებული არიან და სულ სხვა და ხევა პირობებში მცხოვრობენ ევროპელები და აზიელები, აფრიკელები და ავსტრალიელები და მით უმეტეს მცხოვრებნი სხვა და სხვა ევროპიდან შორეულ კუნძულზე, ასე რომ ერთა შეხედვით რომ შევადაროთ ეს ხალხი უცებ მათ შორის ისეთი განსხვავება მოგხვდება თვალში, რომ ვერ წარმოვიდგენთ თუ ეს ადამიანები ერთნაირები არიან, მაგრამ დაწვრილებით გამოკვლევა გვიმტკიცებს, რომ ადამიანი ყველგან ერთია და ბუნების გავლენას რამდენათაც ხანგრძლივი და ძლიერი უნდა იყოს იგი, არ შეუძლია ადამიანი არსებითად შესცვალოს. მეცნიერებაში არის აღნიშნული ისეთი ნიშნები რომელნიც ამტკიცებენ ადამიანთა ერთობას და ერთნაირობას ქვეყანაზე. **) ასეთი ნიშნებია შემდეგი: რაც უნდა განსხვავება იყოს სხვა და სხვა ადგილში მცხოვრებ ადამიანთა შორის,

*) ის. შინ. საქ. № 1 1911 წ.

**) В. Соловьевъ. Собрание сочинений Т. VII стр. 436.

წონჩი მათი ტანისა სრულიად ერთნაირია, ამ მხრით მნიშვნელობა აქვს ძვალთა რაოდენობას და ერთმანეთთან შეკავშირებას და არა ძვლების სიგრძეს ანუ სისხლს ყველა ადამიანს ერთნაირი მაჯის ცემა აქვს, აგრეთვე აზროვნება ყველას ერთსა და იმავე კანონებს ემორჩილება; განვითარების და ცოდნის რაოდენობას კი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება ერთი ადამიანი კულტურის უმაღლეს საფეხურზე იდგას და მეორე დაბალ, პირველ საფეხურზე, მაგრამ ეს დროთა ვითარების და გარემოებათა შედეგია და არა ადამიანის ბუნების არსებითი თვისებისა. ადამიანთა ერთნაირობას ჰმოწმობს კიდევ პირის სახის კუთხის განვითარება. ეს ნიშნეულობა შემდეგში მდგომარეობს: შუბლიდან ცხვირის გვერდზე ჩამოშვებენ სწორ ხაზს, ეს ხაზი უნდა გადკრას მეორე ხაზით, რომელიც ყურის ძირიდან ნიკაპისკენ გაივლის, იქ სადაც ხაზები ერთმანეთს შეხვდება გაკეთდება კუთხე, რომელსაც ჰქვია პირის სახის კუთხე. ეს კუთხე თანდათან მატულობს ესე იგი ფართოვდება მისდამხედვით გონებით მუშაობს ადამიანი თუ არა; კუთხე მატულობს მიტომ, რომ ადამიანის საფეთქლების ძვლები ყამირი არ არის, ისინი ნაწიბურებათ. (ШОВЫ) არის შეერთებული ისე, როგორც ორი ხერხი კბილებით ერთმანეთში ჩაცმული, ამიტომ როცა ადამიანი ტყინით მოქმედობს, ეს ძვლები თანდათან იშლება და შუბლის ძვალი წინ გადმოდის, ამის გამო პირის სახის კუთხე ფართოვდება. ეს კანონი საერთოა ყველა ადამიანის ცხოვრებაში. აიყვანებენ, მაგალითად, 25 წლის (ესე იგი როცა ფიზიკური ზრდა ტანისა დასრულებულია) კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომს უმეტეს ნაწილათ რომელიმე შორეულ კუნძულზე მცხოვრებს, დაუწყებენ სწავლებას და გონებრივად წრთენას. რამოდენიმე წლის შემდეგ გაუზომენ იმას პირის სახის კუთხეს და აღმოჩნდება რომ იგივე ცვლილებაა მისი პირის სახის კუთხეში, რაც ევროპიელი ადამიანისაში. ადამიანთა ერთობა და ერთნაირობა კიდევ ცხადათ მტკიცდება მით, რომ არსებობს

ენა *). თუმცა ყოველ ერს თავისი ენა აქვს და ხშირათ ვამბობთ სხვა და სხვა ენები არსებობს თქო, მაგრამ ენა მაინც ერთია, სხვადასხვაობა შეეხება გამოთქმას, ხასიათს და შინაარსს. ენის ასეთი სხვადასხვაობა არ უშლის ხელს ერთ ერს, რომ იგი მეორეს დაელაპარაკოს და თავისი აზრები მას გააგებოს და მისი მან გაიგოს ნიჭი ენისა და კანონები ენის გაჩენისა და განვითარებისა ერთია და ამ მხრივ შეუძლებელია რაიმე განსხვავება ეიპოვოთ ენათა შორის. ენა როგორც გამოხატულება აზრისა, ანუ როგორც იარაღი გონებისა ერთი აქვს ყველა ადამიანს მიუხედავთ იმისა, სად დაიბიდა და გაიზარდა იგი, ანუ სადს ცხოვრობს და როდის სცხოვრობდა**).

მე დავასახელებ უმთავრესი ნიშნები და არის კიდევ რამდენიმე მეორე ხარისხოვანი ნიშნები, რომელთა მიხედვითაც მტკიცდება, რომ ადამიანი ყველგან ერთნაირია და რამდენ ხანსაც უნდა განიცდიდეს ბუნების გავლენას არ იცვლება არსებითად.

გარდა ამისა არას მეორე გარემოება რომელიც გვიმტკიცებს, რომ ადამიანი ბუნების მონა კი არ არის, მეტბოლი მხარეა, რომელიც ხშირად წინააღმდეგობას უწევს ბუნებას და ხშირად კიდევ ერევა ბუნებას თუ მთლათ არა ნაწილ-ნაწილ მაინც. ამის დამამტკიცებელი საბუთი დღეს არსებული კულტურაა. კულტურა არის ადამიანის ხანგრძლივი მუშაობის შედეგი, კულტურა არის კაცობრიობის გონების ნაყოფი და იმავ დროს გამომხატველი ადამიანის შემოქმედებითი ძალისა.

(შემდეგი იქნება).

ტ. ჯაფარიძე.

*) В. Соловьевъ. Собрание сочинений Т. VII стр. 437.

**) შენიშვნა: დიფერენციით იხილე ჩვენი წიგნაკი „ენის გაჩენა“.

ძველი და ახალი.

ათას ცხრაას ათმა წელმა
აიკიდა ზურგზე გულა,
ისტორიას ჩავაბარეთ,
მივაყარეთ ქვა და გუნდა.

ლიოგენის ფანრით ვძებნე
მისი ნასიკეთრის სახე,
წყლული გულის მოსალობი
ვერ ვიპოვნე, ვერსად ვნახე.

მოველოდით მოუთმენლათ
წყლული გულის გამთელებას...
სიბნელეში დავფათურობთ,
ვერ ველირსეთ გათენებას.

წელიწადი წელიწადს სდევს,
ჩენც მას მივსდევთ განამწარი,
მივსდევთ, მარა უგზო=უკვლოთ,
ვით ჭკუაზე გადამცდარი.

ერთი ალთას მივიწვევით
და მეორე ბალთას იქით,
დავიბენით, ველარ შევკრბით
სამოქმედოთ თავდარიგით.


გავახშირეთ ერთმანეთის
შური, მტრობა, კილევა, კიცხვა,
არაფერი მოგვწონს სხვისი,
ჩვენსას მოიწონებს კი სხვა?!

რა იმედი უნდა გვქონდეს
მომავალ წლის ამის მნახველს?
გულო გასკდი, რას უყურებ,
რათ არ გადმოანთხევ ნადველს?

მაგრამ, სადაც ნადვერდალში
არის თურმე ნაპერწყალი,
არ ჩაქრება, თუგინდ ჩაფით
ყოველდღე რომ ასხა წყალი.

ამბობენ რომ გაღვივდება,
გაანათებს ყოველ მხარეს,
დიდს და მცირეს შვებას მისცემს,
დაავიწყებს სიმწუხარეს.

რ. საჯავახოელი.



ხმა სოფლის მასწავლებლისა.

როგორც გავიგე იმერთის ეპარქიის სა-
მასწავლო საბჭოს ხაზინადარი, მ. ტიმოთე
კაპანაძე, თავს უნდა ანებებდეს აღნიშნულ
თანამდებობას. ამ საბჭოს გამგეობაში იმყო-
ფება ორას სკოლაზედ მეტი; მასწავლებელთა
რიცხვი, რომელთაც ჯამაგირი უნდა აიღონ,
რასაკვირველია, მეტია, რადგან არიან ორ
კლასიანი სკოლები, სადაც ერთი კი არა,
ორი და სამი მასწავლებელიც არ კმარა; ამას
უნდა მიუმატოთ სკოლების გამგეები, რომელნიც
საღვთო სჯულს ასწავლიან, და
ჯილდოსაც ღებულობენ. საბჭოს წესდებით
ხაზინადრად არჩეული უნდა იქნეს, ვინმე
წვერთაგანი; წვერთა შორის კი იშვიათად მო-
იპოება ისეთი პირი, რომ საქმე არ ჰქონდეს
სხვა რამე დაწესებულებაში. ყველას კარგად
მოეხსენება, რომ რა თანამდებობის პერიც
უნდა იყოს, მასწავლებელი იქნება, თუ სხვა
რამე მოხელე, კვირას გარდა ვერ იშოვის
თავისუფალ დროს ნაშუადღევის პირველ, ან
ორ საათამდის, როდესაც მასწავლებელნი, რა-
საკვირველია სკოლის გამგეების ნებართვით,
უკვე დიდხნის მოსული იქნებიან ჯამაგირის
ასაღებად. პირველ ან ორ საათზე, რომ ხა-
ზინადარმა ფულის რიგება დაიწყოს, ვერ გა-

ათავეებს ნაშუადღევის ოთხ ან ხუთ საათამდის, როდესაც ხელ-საყრელი მატარებლები უკვე გასული არიან ქუთაისიდან. ამნაირად სოფლის მასწავლებელი, რომელსაც ასივერსი გამოუვლია და მცირეოდენი ჯილდო ეძლევა თავის შრომაში, იძულებულია მთელი დღე და ღამე, ხშირად ორი და სამიც, დაჰყოს ქალაქში, ნახევარი ჯამაგირი შეკამოს, შინ ხელ-ცარიელი მივიდეს და სკოლის მმართველისაგან დაგვიანებისთვის დიდი საყვედური და შენიშვნა მიიღოს (იქნებ კიდევ გამოირიცხონ ამ დანაშაულისთვის). მაშა ტიმოთე კახანაძე, მაცადინია პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა, რისთვისაც იგი მადლობის ღირსია, მაგრამ მაინც ბევრი ჰყავს მომდურავი, რადგან მას დროზედ ვერ ნახულობენ სადაც ჯერ არს და იძულებულნი არიან უცადონ და ან ეძიონ იმ სასწავლებელში, სადაც მსახურებს. ამის მიხედვით, ძლიერ კარგს იზამს სამოსწავლო საბჭო, თავის წევრთა შორის, ამოირჩეოდეს ხაზინადრად ისეთ პირს, რომელსაც არავითარა საქმე არ ექნება აღნიშნული საბჭოს გარეშე, იქნება თავის დროზედ საბჭოს კანცელარიაში, რადგან ბინაზედ ფულის აღება მოუხერხებელია სხვა და სხვა მიზეზების გამო, და დაუბრკოლებლად მიაწვდის მასწავლებელთ ჯამაგირს.

ან. ნარ. რელიგია.

ჩვენის მხრით არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ დღევანდელი საბჭოს პრაქტიკა ჯამაგირის დარიგებისა უხერხულია და მავნებელიც სკოლის საქმისათვის. კარგი იქნება, რომ ამ მხრით საბჭო სახალხო სკოლების დირექციას მიბაძავდეს. შეიძლება აქაც არ იყოს იდეალურად საქმე დაყენებული, მაგრამ ცოტა უნჯობესობა მაინც ეტყობა და ისიც კარგია. *Из двух зол надо выбрать меньшее.* — ამბობს რუსული ანდაზა.

რედ.

პროვინცია.

ს. მონღია (სენაკის მაზრა). ყოველ-ნაირი ქველმოქმედება საქებარია და ღვთისათვის საამო, მაგრამ ხელის შეწყობა ახალ-თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში,

თუ ეს უკანასკნელი ღვთის მცნებებზე აწყობილი და მასთან შეკავშირებულია, არის ერთი უდიდესი ქველმოქმედებათაგანი

ჩვენს სოფელში სწავლა-აღზრდის საქმე დაწყებული იყო თითქმის 12 წლის წინეთ, მაგრამ დღემდის მოსალოდნელი ნაყოფი იმას არ მოუტანია. ახლა კი აღმოჩნდენ ისეთი ხელმძღვანელები და საქმის გულშემატკივარნი, რომ დღითი დღე უფრო და უფრო მეტს ნაყოფს ვხედავთ. სულთა ბრძოლაში მყოფი ჩვენი საეკლესიო—სამრევლო სკოლა გადაკეთდა ორ-კლასიანად და მოიბრუნა სული, მოწაფეებისაგან ქართულ-რუსული გალობის შესწავლამ კი წირვა—ლოცვაზე მოსიარულეთა რიცხვი გაამრავლა. სხვათა შორის იყო ერთი საქმის შემაფერხებელი დაბრკოლება: სამრევლოს არ ჰქონია სკოლის შენობისათვის მიწა. მრევლისათვის მეტათ მძიმე ტვირთი იყო 1000—1200 მანეთის გამოღება მიწის საფასოდ, თუ რომ ღვთისაგან კურთხეულს, ამ სოფლის მემამულეს, ბ. ლუკა პეტრეს ძე გაბუნიას არ გამოეხსნა მრევლი ამ გაჭირებისაგან. ბ. ლუკა პეტრეს ძემ, როცა დაინახა, რომ თავის სამშობლო სოფელში ახალთაობის სწავლა—აღზრდის საქმემ წაიწია წინ და მრევლი სიღარიბის გამო ვერ ახერხებს ამ საჭირო საქმისათვის თავისი სურვილის შესრულებას, თავის მოგვარეთა შეთანხმებით სამრევლო სკოლის შენობის დასადგამად და საუკუნო სამკვიდროდ 26 ამ თვისას, ეკლესიის გვერდზე, საუკეთესო ალაგზე, შესწირა ქცევა—ნახევარი მიწა, რომელშიაც, რომ გვეყიდა, უთუოთ 2000 მანეთს აიღებდა. ბ. ლუკა პეტრეს ძემ ამითი დააყენა ფეხზე ამ სკოლის საქმე. მრევლმა ამ უხვი შემოწირულობით წაქეზებულმა, ნაცვლად ხის შენობისა, რაიცა განაჩენით ჰქონდათ გადაწყვეტილი, დაადგინა აავოს კვით-კირის შენობა.

დიდი მადლობის ღირსია ბ. ლუკა პეტრეს ძე. იმედია ამ საქმე საქმეს აღმოუჩნდებიან წამბაძენი. ამასთან საჭიროდ ვრაც მადლობა გამოუცხადო ბბ. იოსებ თეიმურაზის ძე გაბუნიას და შნათე ალექსი ქაჯაიას, რომლებმაც აგვიოქცვეს სკოლის შენობის ასაგები აგურის ნახევარ ფასში დათმობა.

მღვდელი კირილე დახკლავა.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მკედლიძე. გამომცემელი იოსებ ლეუვაია.

Открыта ПОДПИСКА на 1911-й г. НА художеств., литературн., популярно-научный ЖУРНАЛЬ

ВЕСЬ МІРЪ

ЗА ГОДЪ 52 №№

Содержитъ до

5000 ст. текста и иллюстраціи

БЕЗПЛАТНО КНИГА

1600 ст. текста 863 иллюстраціи.

на 12 мѣсяцевъ 5 р., на 6 мѣсяцевъ 2 р. 50 к., на 3 мѣсяца 1 р. 25 к.
ВЕСЬ МІРЪ выходитъ еженед., содержитъ въ каждомъ № 96 ст. текста и иллюстрацій, печат. на велевовой бумагѣ, въ очень плот. обложкѣ.

Годъ изд. 2-й

Первые №№ **ВЕСЬ МІРЪ** расходились въ количествѣ 4—5 тис. каждый № журнала. Последние №№ **ВЕСЬ МІРЪ** расходились въ количествѣ 53.000 экз. журнала.

ВЕСЬ МІРЪ составитъ за годъ огромный томъ въ 5000 ст. текста и иллюстрацій и на ряду съ обширной библиотечкой вполнѣ законченныхъ разск., стихот. и иллюстрирован. популярно-научныхъ очерковъ, явится иллюстрир. хроникой событій за весь годъ.

Съ Ноября 1910 г. въ журналѣ **ДѢТСКІЙ МІРЪ** печатается особый отдѣлъ содержащій игры, вабавы, фокусы загадки, задачи—все на премию

Первый листъ (8 полосъ) журнала **ВЕСЬ МІРЪ** представляетъ иллюстрированную хронику событій за недѣлю и составляется по рисункамъ и фотографіямъ художниковъ и фотографовъ журнала.

Въ литературномъ **ВЕСЬ МІРЪ** въ 1910 г. печатали свои рассказы и стихотворенія преимущественно иллюстрированные: К. С. Баранцевичъ, Р. В. Бодуэнъ де Куртэнъ, А. С. Бенедиктъ, Ю. Д. Бѣляевъ, И. М. Василевскій, В. Н. Гордишь, П. П. Гифдичъ, С. М. Городепкій, А. С. Гринъ, В. П. Далматовъ, А. Н. Каменскій, Б. А. Лазаревскій, Владиміръ Ленскій, В. А. Мавуркевичъ, И. Н. Петашенко, А. С. Рославлевъ, С. Г. Скиталецъ (Петровъ), В. А. Тихановъ, Дмитрій Цензоръ и др. На ряду съ этимъ печатались иллюстрированные рассказы лучшихъ иностранныхъ писателей.

въ ПОПУЛЯРНО-НАУЧНОМЪ отдѣлѣ печатались иллюстрированные очерки по всѣмъ отраслямъ знанія, имѣющіе интересъ момента.

Особый иллюстрированный отдѣлъ посвященъ **ТЕАТРУ И МУЗЫКѢ**

Въ 1911 году журналъ **ВЕСЬ МІРЪ** будетъ издаваться по той же прогр. и при участіи тѣхъ же сотрудниковъ.

гг. подписчики на 1911 г. получаютъ НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:

книгу, содержащую 1600 ст. текста съ 863 иллюстр.

ВСЕЛЕННАЯ И ЧЕЛОВѢЧЕСТВО форматъ книги—размѣръ журнала **ВЕСЬ МІРЪ**.

Полный переводъ съ послѣдняго нѣмец. изд. ТРИ ТОМА стоящіе въ отд. прод. 33 р. ДАРОМЪ въ одномъ томѣ. Книга выдается съ 20 Декабря 1910 г. ПРИ ПОДПИСКѢ всѣмъ высшимъ подписную плату (5 р.). Подписавшимся въ рассрочку, книга выдается по внесеніи полной годовой платы.

Всѣ книги (8 ф.), не допускаетъ ея пересылки при журналѣ. Въ виду этого, книга выдается безъ всякой доплаты только въ Петербургѣ. За доставку на домъ повсемѣстно приплачивается 1 р. 35 к. (всего 6 р. 35 к.) за упаковку и перес.

на 1911 г. журналомъ **ВЕСЬ МІРЪ** объявленъ конкурсъ

на премию въ **1000** р у б за лучший рассказъ своего подписчика.

Участниками и судьями конкурса являются всѣ гг. подписчики журнала **ВЕСЬ МІРЪ**. Подробныя условія конкурса въ декабрьскихъ №№ журнала „Весь Миръ“.

Для **Вселенная и Человѣчество** изготовлены роскошные

книжки—переплеты. Точный снимокъ приложенъ къ каждой книгѣ. Подписка принимается во всѣхъ книжн. магазинахъ, въ Главной Конторѣ журнала „Весь Миръ“: С. Петербургъ, 5 лин., 54, фабрика Коммерціи Совѣтника Н. В. Гаевского и въ магазинахъ Н. В. Гаевского въ С.-Петербургѣ

1) Литейный пр., 28. 2) Садовая ул., 22.

Редакторъ-Издатель: Коммерціи Совѣтникъ Н. В. Гаевскій.

ვაშაბაღებ სამღვდლო და საღიაკვნო სამასწავლებლო ეგზამენის საგნებში, აგრეთვე მისხალეზად.

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17.

„ТОРГОВОЕ ДѢЛО“

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

Торговое Дѣло

Въ теченіи 1911 г. подписчики получаютъ:

52 №№ газеты, объемомъ отъ 4 до 8 стр., съ точными цѣнами на всѣ главнѣйшихъ городахъ, съ указаніемъ на ожидаемое пониженіе или повышеніе ихъ, съ курсами на фондовыя бумаги и другими извѣстіями.

24 №№ журнала въ обложкѣ, объемомъ отъ 32 до 64 ст. по программамъ: 1) Руководящ. статьи, касающіяся; в) Разработкѣ естественныхъ богатствъ Россіи и устройства прибыльныхъ фабрично-заводскихъ предприятий, б) Веденіи и организациі торговыхъ и промышленныхъ дѣлъ по новѣйшимъ методамъ торговли; в) Распространеніи товаровъ; г) Привлеченіи покупателей; и д) Всевозможн. видовъ рентамъ; 2) Проекты и смѣты на устройство магазиновъ, лавокъ, фабрикъ и заводовъ съ практическими указаніями для неопытныхъ людей; 3) Совѣты и указанія на всевозможные случаи изъ богатаго опыта западно-европейскихъ и американскихъ коммерсантовъ; 4) Отвѣты на запросы подписчиковъ; и 5) Всевозможныя торг.-пром. свѣдѣнія.

6 книгъ 1) Указатель главнѣйшихъ фабрикъ и заводовъ всей Россіи (около 20000 адресовъ), цѣна въ отдѣльности 2 р. 50 к.; 2) Указатель заграничныхъ покупателей русскихъ продуктовъ (около 6000 адресовъ), цѣна въ отдѣльности 1 р. 50 к.; 3) Руководство для таксировки грузовъ по ж. д. (2 р.); 4) Указатель готовыхъ провозныхъ платъ на всѣ товары (1 р. 75 к.); 5) Указатель готовыхъ разстояній отъ главнѣйшихъ городовъ до всѣхъ ст. ж. д. и обратно (1 р. 50 к.); 6) Искусство продавать (50 к.).

Подписная цѣна на годъ, на газету, журналъ и книги 6 Р., БЕЗЪ 4 Р. съ правомъ полученія всевозможн. справокъ и стѣнного справочнаго календаря.

Въ конторѣ „Торговаго Дѣла“ продаются:
Адресная книга „Вся Европа“ объемомъ ок. 500 стр.—3 р. 75 к.; Руководство „Искусство Рентализовать“—50 к. Оба изданія вышестъ съ газетой, журналомъ и книгами на 1911 г. высылаются за 8 р. Желаше получить еще и журналъ за 1910 г. (стоящій въ отдѣльности 2 р. 50 к.); адресную книгу „Указатель Всей Россіи“ объемомъ въ 500 стр. (2 р. 50 к.) и Указатель Таможенныхъ Пошлинъ (1 р. 25 к.) уплачиваютъ 12 р. Первая 2 или всѣ 5 изданій высылаются налож. плат. со вклоч. подписки на 1911 г. на 8 руб. 20 коп. или 12 руб. 20 коп.

Ред.-Изд. Секретарь Губернатора Одесской Губерніи В. С. Гальперинъ.
Обращаться въ к-ру жур. „Торговое Дѣло“, Одесса, Соборная, 2-1

НА ГОДЪ—4 Р. СЪ ПРИЛОЖ.—6 Р.

6-й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

5-й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

НА ГОДЪ 6 Р.

3-2

„შინაურ საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიკოვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (вѣдомости) წლიური საბლანკოინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „შობის“ გამოცემა და ფულიც მის ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწვეილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаись, Правленіе религиозно-просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1911 Г.
НА ЕЖЕНЕДЕЛЬНУЮ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧ. ГАЗЕТУ
ШКОЛА и ЖИЗНЬ
СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНИЯМИ.**

Въ книжкахъ приложений, которыя за годъ составляютъ около 80 печатныхъ листовъ, будутъ помѣщаться цѣльныя произведенія русскихъ и иностранныхъ авторовъ, старыя классическія, или выдающіяся новѣйшія или касающіяся наиболѣе интересныхъ вопросовъ текущаго времени. Три книжки приложения будутъ посвящены памяти **Л. Н. Толстого, Н. И. Пирогова** и работамъ извѣстнаго педагога **Кершенштейнера**. Въ числѣ приложений—три сборника специально посвященные нашей низшей, средней и высшей школѣ.

Газета издается по слѣдующей программѣ: 1) Руководящія статьи по вопросамъ: а) организациі школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики. 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и воспитанія. 3) Фельетонъ характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь школы или популяризирующій различныя стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія: дѣятельность законодательныхъ учреждений, правительства, мѣстнаго самоуправления и т. д. 6) Хроника школьной жизни въ Россіи и Заграницей, 7) Обзорѣіе специальной литературы русской и иностранной. 8) Справочный отдѣлъ съ подотдѣломъ отвѣтовъ редакціи на запросы подписчиковъ.

Въ газетѣ принимаютъ участіе, въ числѣ прочихъ, слѣдующія лица:

Проф. М. М. Алексѣенко, акад. В. М. Бахтеревъ, проф. И. П. Боргманъ, И. П. Бѣлоконскій, проф. В. А. Вагнеръ, В. П. Вахтеровъ, акад. В. П. Вернадскій, В. А. Гердъ, проф. Н. А. Гредескулъ, проф. Д. Д. Гриммъ, Я. Я. Гуревичъ, проф. В. Я. Данилевскій, Я. И. Душечанинъ, Е. А. Звягинцевъ, проф. П. Ф. Каптеравъ, проф. М. П. Капустинъ, проф. Н. И. Карѣевъ, проф. М. М. Ковалевскій, акад. А. Ф. Кони, проф. Н. Н. Ланге, А. Л. Липовекій, проф. И. В. Лучицкій, проф. А. А. Мануйловъ, П. Н. Милоговъ, Н. Ф. Михайловъ, проф. А. П. Печаевъ, акад. Д. Н. Овсянко-Куликовскій, Ф. Ф. Ольденбургъ, А. Н. Острогорскій, А. Б. Петришевъ, И. И. Петрункевичъ, А. С. Пругавинъ, Н. Рубакинъ, М. А. Стаховичъ, І. В. Титовъ, Е. И. Тихомировъ, графъ И. И. Толстой, Н. В. Тулуповъ, проф. Г. В. Хлопинъ, В. И. В. И. Чарнодускій, проф. Г. И. Челпановъ, Н. В. Чеховъ, П. М. Шестаковъ, А. И. Шингаревъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Изъ иностранныхъ ученыхъ, между прочимъ, обѣщали свое участіе въ газетѣ слѣдующія лица: проф. Рене Вормель, Шарль Жидъ, извѣстный французскій педагогъ Бюссонъ, де-Гревъ и др., Редакція газеты имѣетъ корреспондентовъ, въ разныхъ городахъ Имперіи и специальныхъ корреспондентовъ въ Г. Совѣтъ и Г. Думѣ.

Подъ общей редакціей **Г. А. ФАЛЬБОРКА**.

Подписная цѣна: на годъ на 6 м. на 3 м.

Съ доставкой и пересылкой въ города Имперіи. **6 р. 3 р. 2 р.**

Для учащихъ въ начальныхъ училищахъ допускается разсрочка по 1 р. за каждыя 2 мѣсяца. Лица подписавшіяся до 1-го Января 1911 г., получаютъ газету въ 1910 г. бесплатно.

Газета выходитъ съ ноября мѣсяца. Пробныя №№ высылаются бесплатно.

Подписка принимается: въ Главной Конторѣ, **Петербургъ, Кабинетская, № 18**, тел. 547—34 во всѣхъ почтово-телеграфныхъ конторахъ Россіи и въ книжныхъ магазинахъ.

Объявленія принимаются въ Главной конторѣ газеты. Цѣна объявленій за строку монпарели на первой страницѣ 60 коп., позади текста 30 коп. Издатели: **И. В. Мѣшковъ и Г. Б. Фальборкъ.** 3—2